10 აგვისტო, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

ა რ შ ი ყ ო ბ ა!

კოხტა, კოპწია და მოხდენილი
„კნიაჟნა“, კოტე თუმანიშვილი,
მელიის ბეწვით გამოწყობილი,
მოხუცი, მაგრამ თმა შეღებილი,
ჩრდილოელ საქმროს ეარშიყება.

სჩანს ჩვენ „კნიაჟნას“ მოეხალისა
გვირგვინ ქვეშ დგომა „მარჯვენით მისა“,
მათ არშიყობას, ჭანჭურს თვალისა,
ერთობ ხელს უწყობს ბნელი ღამისა.
და იმედია დამოყვრდებიან.

ამონაკვნესი.

მარტო ვარ... ჩემს გარშემო
ბუნება იფურჩქნება;
მდელო ყვავის, შინდორი
ათას-ფერად იქარგება.
ტყე ხმაურობს, ნიავი
ფრთა გაშლილი დაფრინავს,
ნაკადი მოქუხს, ნამი
ბუჩქ-ბალახებში ბრწყინავს.
ყაყაჩო წითლად ღვივის,
ის ჭრელი ჰეპელა
კოცნის, ეალერსება,
თავს ევლება ნელ-ნელა.
შოშია ტკბილად გალობს,
შაშვი ბანს ეუბნება
და სანეტარო ხმები
მიდამოს ეფინება.
მაგრამ ჩემს გულს ბუნების
სიტურფე ვერ იზიდავს,
ფიქრები, ვით მთას ნისლი,
მეხვევა, სულს მიხუთავს.
თვალ-წინ მიდგას ცხოვრების
ველი სისხლით მორწყული,
ვთვლი, ვანგარიშობ მსხვერპლებს
და მწარეთ მიკვნესს გული!

ვ. ჩახრუხაძე.

ნაკადული.

მორბის, მოხტუნავს ჩქრიალით,
გადმოდის ყირამალასა
და მწვანედ აშლილ-ატეხილს
ესაუბრება ჭალასა.
მოუთხრობს: თუ მთის ორწოხში
რამდენი ტანჯვა უნახავს,
რამდენი დაბრკოლებანი
დაუძლევ-გადმოულახავს.
აქ სალ კლდეს იგი ებრძოდა
პირქუში, გაკერპებული,
იქ ქვა-სიპს ენარცხებოდა
ამღვრეულ-აქაფებული!
და ისე, ბრძოლას არ სწყვეტდა:
ქვა-სალს ხვდებოდა მრავალსა,
ლამობდა იმათ დანგრევას,
გზას მოიწმენდდა სავალსა...
და მოხტუნავდა ბარისკენ
მთად გადამხდელი ომისა,
მორბოდა მსგავსი გიჟმაჟი
ფაფარ აყრილი ლომისა!..
მოუთხრობს... და თან უყივის
ტყეს ჩაფიქრებულს მწარეთა:
,,ტყეე, რამ შეგაკრთო ბეჩავო?!
რადა ხარ მგლოვიარეთა?
გესმის ნიავის სისინი?!
იმისი ძილის პირები!
შენც გამოფხიზლდი ამ ხმაზე,
სულ მთლად ნუ ჩაიკირები!..
გამოახილე თვალები
მიბნედილები ძილითა
და შეუერთდი ნიავსა,
ხმა-ტკბილი მოძახილითა!
აამოძრავე ტოტები,
ფოთლები ააშრიალე,
ეგ დარდი, სევდა, ვარამი
გაჰფანტე, გაატიალე!'..
უყივის... ტყე კი კვალად სდუმს,
გული ევსება წუხილით;
ნაკადი აგრძობს თავის გზას
ჩქრიალითა და ქუხილით.
ახლა მინდორზე ეშვება,
მის ხმელ მკერდს ესალბუნება,
ნაპირის ბალახ-ბულახი
ცივს ტალღებს ელამუნება.
ნაკადიც ამათ უმღერის
დუდუნით, ნაზი ჩახჩახით,
მათ ჩრდილებს გულში იხუტებს
სხვა და სხვა ფერით და სახით.
მაგრამ ეგ მღერა მოისმის
რაღაცა მწარე ტირილათ
და იფანტება იგი ხმა
მინდორში ნაღველ-ჩივილათ:
,,მთაში სალ კლდეებს ვებრძოდი
ქუხილითა და ჩქრიალით,
ვენარცხებოდი მათ ძირებს
მოვრბოდი ორონ ტრიალით!
მოვრბოდი... ტყეს ვუყივოდი,
მის გაღვიძებას ვცდილობდი,
მაგრამ ვერაფერს ვხდებოდი,
რამდენსაც არ ვცოდვილობდი.
ის იდგა გარინდებული,
ჩუმი, გულ-შემონაყარი
და მწუხრის კილოთ ესმოდა
მას ჩემი სიცილ-ხარხარი!..
შენ კი გაშლილხარ, მინდორო,
ამოგხრუკვია გულია
და ჩემმა სუსტმა ტალღებმა
ვით დაგიამონ წყლულია?!
მივრბივარ ისევ ქვევითკენ,
ზღვისკენ ვაშურებ ზვირთებსა,
ისევ მის წიაღს გავანდობ
ჩემს გულის დარდებს, ფიქრებსა.
და ავატოკებ მის გულ-მკერდს,
შევეხეავ ღრუბელთა გროვებსა,
მთასაც და ტყესაც მივუვლენ
იმათ დამშეულ ხროვებსა!
შენს გადახრუკულ გულ-მკერდსა
ღვართქაფად დავედინები
და ეგა მაშვინ იხილე
ბუნების ნადიმ ლხინები!

გამოცოცხლდება მთა-ბარი,
ტყეც იწყებს ხმაურს შრიალით''...
და ამ იმედით ნაკადი
მირბის, მიხტუნავს ჩქრიალით!
მირბის... აღვიძებს, აცოცხლებს
ველ-ნახნავს, ყანა-ბახჩასა,
და ასმენინებს მიდამოს
თვის განუწყვეტელ ჩახჩახსა...

ნ. ზომლეთელი.



შეკითხვა

შეკითხვა I.

მოეხსენება თუ არა ყოვლისა მცნობელ ეშმაკს, რომ ძმებმა: მათე და ერმილე გიგინეიშვილებმა განიზრახეს სუფსის სამკითხველოს ეზოს მითვისება, რისთვისაც ჩავიდენ ეზოში და დაიწყეს მუშაობა

და თუ მოხსენდება ყოველივე ეს, რა ზომებს მიმართავს საქმეთა მოსაგვარებლათ. ოლოლე.

პასუხი. ვინაიდან აგრარული საკითხი ჯერ არ გაურკვევია ჩვენს ძვირფასს მესამე დუმას, ამიტომ ძმათა გიგინეიშვილებს მიეცეს ჯილდოთ თითო მათრახი, ხოლო საკითხი გადაეცეს აგრარულ კომისიას.

ეშ. მდივანი

სპარსეთი

პირველი საქმე, რომელიც გააკეთა ხალხმა კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, ეს იყო პურის ბეღლების დანგრევა და ამ ბეღლების პატრონ-ექსპლოატატორთა დასჯა. ეს ამბავი მოხდა ადერბეიჯანში. ეს იყო შურისძიება დიდი ხნის ტანჯულ და მშიერ ხალხისა, შურისძიება, შეიძლება, მეტად სასტიკი და სიშინელ უმზგავსო ფორმებში გამოხატული, მაგრამ ამის ახსნა და გამარტლება უნდა ვეძებოთ წარმოუდგენლად საშინელ პირობებში, რომელშიაც ეხდება ცხოვრება სპარსელებს. უკმაყოფილო ხალხის ამბოხება იმათ წინააღმდეგ, რომელთაც საარსებო პური სრულიად ხელში ჩაიგდეს, წინათ ხშირად მომხდარა და წლითი-წლობით მეორდებოდა. აქ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი, რომელშიაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის სპარსელ ქალს. ხუთ-მეტი წლის წინეთ, როდესაც სპარსეთის ტახტის მემკვიდრე იყო განსვენებული მუზაფფერ-ედინი, ეხლანდელი შახის მამა, ადერბეიჯანი განსაკუთრებულ საჭიროებას განიცდიდა პურისას. უმთავრესი დამნაშავენი ამ საქმეში იყვნენ თავრიზის მუშთეიდი გადი-მირზა-ჰასანი, ეხლანდელ რეაქციონერთა მეთაური, რომელმაც გამოიწვია თავრიზის ამბებიც, და ბრბო მისებურ მდიდრებისა. ამათ ასწიეს პურის ფასი, რომელიც სრულიად მათ ხელში იყო. ამის გამო სავაჭროზე პური გაძვირდა, მასთან ხარისხითაც მეტად ცუდი შეიქნა. თავრიზის მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი საშინელ შიმშილს განიცდიდა, მაგრამ რას გახდებოდა, რადგან ძლიერ მუშთეიდს დიდი გავლენა ჰქონდა მემკვიდრეზე, რომელსაც, როგორც ამბობენ, თურმე ეშინოდა კიდევაც მუშთეიდისა, როგორც აზერბეიჯანის საამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენელისა. ამ დროს სცენაზე გამოვიდა სპარსელი ქალი, სახელად ზეინაბი. მან თავი მოუყარა 1000 —მეტ სხვა სპარსელ ქალებს. ყველა ესენი შეიარაღდენ ჯოხებით, წალდებით, ერთი სიტყვით, რითაც შეეძლოთ, და ერთ მშვენიერ დღეს მთელი ბაზარი ხელში ჩაიგდეს, დაარსეს პურის საცხობები, პურებს მცხოვრებთ უფასოთ ურიგებდენ და ბოლოს შაჰის მემკვიდრესთანაც მივიდენ. ზეინაბმა მეტად მკვახედ და ენერგიულად მიმართა ტახტის მემკვიდრეს, გამოუცხადა, რომ სპარსეთის ხალხის უბედურების მიზეზი ისაა, ადერბეიჯანის მმართველი და ყველა ძალა უფლების მქონენი, აუხსნა, რომ თუ მას მოესურვება, როგორ მოუღებდა ბოლოს ვიღაც მუშთეიდებისა და უსინიდისო ტუზების გაუმაძღრობას, რომ თუ იგი ამას არ შვრება, მხოლოდ იმიტომ, რომ საცოდავი და მშიშარაა, რომელიც ღირსი არაა ატაროს ტახტის მემკვიდრისა და პრინცის სახელი. ამ ამბის მნახველნი ამბობენ (ასეთები თავრიზში ბევრია), რომ ზეინაბმა, რომელსაც ხალხმა მას შემდეგ ზეინაბ-ფაშა უწოდა, მემკვიდრეს ჯოხი მოუქნია და ეს უკანასკნელიც იძულებული შეიქმნა გაქცეულიყოვო. ამის შემდეგ პურის საკითხი თავრიზში სასურველად გადაწყდა, მაგრამ მხოლოდ დროებით. საქმეები ჩვეულებრივ წავიდენ. ზეინაბ-ფაშა კი, რომელმაც სპარსეთის ცხოვრების შავ ატმოსფერაში მეტეორსავით გაირბინა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ესე იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, დაიღუპა ჯალათთა ხელიდან, მაგრამ ისე, რომ იმის ამბავი არავის შეუტყვია.

ეს ეპიზოდი საკმაოდ ნათლად ახასიათებს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა სპარსეთის ხალხი, ხალხი, რომელიც დიდიხ'ის განმავლობაში უძლური იყო თავის არსებობისათვის ებრძოლა. და თუ ათასი წლობით მონობის შემდეგ მან იგრძნო თავისი სიძლიერე რამდენიმე დღით და გადმოანთხია გულში დაგუბებული ბრაზი ისე, როგორც ამას გაუნათლებელი ბრბო სჩადის, ამაში ყოველ შემთხვევაში ის არაა დამნაშავე.

ხალხის შურისძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. სპარსეთის შეგნებულმა და კეთილმოაზრე ინტელიგენციამ მოახერხა და დროზე შეაჩერა ხალხი ისეთ ნაბიჯებისგან, რომელთა ცუდი შედეგების გათვალისწინება ძნელი არ იყო. ხალხი დაკმაყოფილდა იმით, რომ თავიდან მოიშორა არასასურველი ელემენტი, ის პირები, რომელნიც ცნობილი იყვენ ხილხისადმი მტრული მოქმედებით. სხვადასხვა გაჯი-მირზა-გასანებმა, მირ-გაშიმებმა, მირზა-ქერიმებმა და მათმა მსგავსებმა თეირანს შეაფარეს თავი. დაიწყო, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, დიფერენციაცია. ერთნი ხალხს მიემხრენ, მეორენი მის წინააღმდეგ წავიდნენ, მესამენი არც წინააღმდეგ წავიდნენ და არც მიემხრენ. პირველებში, მთელი ქვეყნის განსაცვიფრებლად, დიდი როლი ითამაშეს მოლებმა. ესენი თავისუფლებისა და უფლებისათვის მებრძოლ ხალხის სათავეში მოექცენ. პირველად ხალხს გამოესარჩლენ ნაჯაფის მუშტეიდები. ამათ მოითხოვეს მუზაფფერ ედდინ-შაჰისგან კონსტიტუციის გამოცხადება, აიძულეს მისთვის შეეფიცა ეხლანდელ შაჰს მაჰომედ ალი-მირზასაც და უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში წერილებით, დეპეშებით და მოწოდებებით ხელს უწყობენ ხალხში გააღვიძონ იმედი, რომ სიმართლე გაიმარჯვებს. უანგარო შრომანი ხალხის საკეთილდღეოთ ეჭვს გარეშეა და ამ შემთხვევაში იმათ წინააღმდეგ არა ითქმის-რა. მაგრამ რითი ხელმძღვანელობდენ სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები სამღვდელოებისა. ხალხის განმათავისუფლებელთა რაზმში რა ჩადგენ და რანი აღმოჩნდენ შემდეგში, ამაზე ღირს მოვილაპარაკოთ.

ჰუსეინ.

მესტვირული.

(ვუძღვნი ქუთაისას ვაჟთა გიმნაზიას)

აქ მოდი, ჩემო ქამანჩავ,
აქ მოდი, ჩემო სტვიროვო,
რაც გულში რამე ჯავრი მაქვს,
მინდა ზედ დაგატიროვო,
და შენც, ქამანჩავ, მომყევი,
საქმე არ გამიჭიროვო,
კრულ იყოს ჩემი სახელი,
თუ ტრფობა შეგიმციროვო,
მინდა შევამკო ტკბილი ხმით
პედაგოგთ სათათბიროვო.
კმარა ამდენი სიჩუმე,
აივსო თმენის ფიალა!
მაშ, სტვირო, ერთი გვასმინე
შენი ხმა ტკბილი, წკრიალა.
ბევრი ვჭრ იცნობს გლუშაკოვს,
რომელიც დირექტორია.
გიმნაზიაში ან სხვაგან
მას არ ყავს ჩვენში სწორია.
სულით და გულით ფაქიზი,
გონებით ორჯერ-ორია,
თუმც „მწერლად'' მოაქვს მას თავი
(სწერაო, სთქვეს, ,,ისტორია''!)
პირფერობითა ნუ იტყვით
ეს მონაგონი ჭორია;
უფროსებს ეალერსება,

თავს უკრავს შორი შორია;
ხელქვეითს ისე ეპყრობა,
როგორც წიწილებს ქორია.
ზემორე თქმული ეშმაკ
დედანთან ერთობ სწორია
ახლა დავუყვეთ თავ-თავქვე
შევაქოთ ინსპექტორია.
ესე რაინდი, ძველათგან
,,პლაგიაიმათ'' ცნობილი,
დღეს კარგი მადის მექონე
ფსიხოლოგადაც ხმობილი,
გუშინ ,,ტანჯულთა დამცველი'',
დღეს ზემოთქმულის ძმობილი,
ავტორი რაღაც ,,წიგნების'',
ლამაზად გამოწყობილი,
საიმის დაიმასქაში
ძალიან გამოწრთობილი.
სასიქადულო შვილია
ბედნიერ დღეზე შობილი.
ამა რაინდმა თავს იდვა
საქმენი არა-ადვილი;
და ცდილობს დაკანონოს
თავისი სურვილ-წადილი;
(„Горе отъ ума"-ს გამრჩევი,
დღეს ფამუსოვი ნამდვილი.)
ძველადაც „კრიტიკოსობდა"
თარგმანი თვისად გაჰქონდა,
მაგრამ შეუტყვეს ეს ხრიკი
და მიხაილიც დაღონდა.
მცოდნე კაცები ამბობენ:
აუიმასქნეს ყურიო,
რის გამოც შორე გასტყორცნა
კალამი უბედურიო.
და ქართველ მწერალთ უბოძა
სიტყვები უწმაწურიო.
ეხლა შევამკოთ ხუცესი
ერმალოზ კანდელაკიო,
ჯერ მისგან არვის სმენია
სავარგე ლაპარაკიო.
ამიტომ მასთან რაიმე
საქმის დაჭერა ძნელია,
ელოდე მისგან სიკეთეს,
საქმე თუ შემოგელია.
ხან აქეთ არის, ხან იქით,
თუ ჰბერავს ეხლა ზენაო,
ის შენ მხარს გიჭირს, მაგრამა
თუ ამოიქრა ქვენაო,
ერმალო სახეს შეიცვლის,
გაუიმასიქნს ენაო,
მოდი ეხლა და ენდევი
ამისთანა კაცს შენაო!..
ღმერთსაც იმასიქს, კაცსაცა,
არის დროების ,,მიმხვდური''
მუდამ-ყამ ცდილობს, არ დასწვას
არც მწვადი არცა შამფური.
აქ იურკევსკიც ვახსენოთ,
მასაც მიუძღვნათ შაირი,
არ ვფიქრობ, ვინმეს ენახოს
კაცი ე მაგის ნაირი.
სიბერის ხანში შესულმა
მონახა ,,წმინდა კავშირი''
და წინეთ ფერად ყომრალო
გაშავდა ვითა ნახშირი.
მეხსიერებამ უსუსტა,
გადაელია, წაერთო,
თანაც ემონა ბახუსსა
და ჭირზე ჭირი დაერთო.
არ შემიძლია დავტოვო
უქებრად წერეთელიო;
სახელად ჰქვიან გედეონ
და ანუ ,,ბეკო თხელიო''.
ნაკითხავია ძალიან
ორატორია ძველიო,
დავიდოვ-კისელიოვი
ზეპირათ იცის მთელიო.
,,სლოგი'' გივარგა,—ხომ კარგი:
ხარ მისი საყვარელიო,
თუმც მისგან შეუცდომელად
ორ სიტყვას ნუღა ელიო.
ახლა ვახსენოთ დევიძე,
დავით რომ ჰქვია სახელი
დურმიშხანული ტიპისა
ჩინებულ გამომხატველი.
მისი პირადი ღირსება
მოსასმენადაც ცუდია,
დღეს კი ეს ტურფა არსება
საღარაძისა კუდია.
ვით შევძლო ღირსად შევამკო
ლავრენტი წერეთელიო.
მხნე, ახოვანი ვაჟკაცი,
,,კრიტიკი'' საშინელიო
ტოლსტოის მიმდევარია,
(ეს კი საქმეა ძნელიო),
ფილოსოფოსობს, აზროვნობს,
მის გზაზე არის მსვლელიო.
ამბობენ იცის გალობა,
მოქარგული აქვს ყელიო;
არ შევაწუხებ მკითხველებს
სხვებიც შევამკო ლექსითა,

ისედაც ბევრი აღივსო
ჩემდამი შხამით, გესლითა.
მხოლოდ-და ვიტყვი საერთოდ
სხვების შესახებ ამასა:
რომ შნო იმ ჟამად მოჰკითხე
თუ მიუყენებ ჭამასა.
კვეჟო, ბროკე და მებამბე
ანუ მეხაშედ ხმობილი,—
ყველანი ერთად არიან
ტაფაზე გამოდნობილი.
კუსტინოვიჩი ამაყად
ზევიდან უცქერს ყველასა,
ვითარცა პურის თავთავი
რომ მოიღერებს ყველსა.
ესე ამბავი ნამდვილი,

—

ჯერ პროზათ განაგონები,
ვპოვე და ლექსად გარდავქმენ
საქმე ვქენ დასაღონები.
მთავარ გმირებად დავსახე
,,მადლისა'' ბევრის მქონები
პედაგოგ-პლუტოკრატები
ქანქართა დანა ძონები.
ეშმაკო მათრახოსანო,
გვისმინე სავედრებელი
ამა მონათა ღვთისათა
მათრახის კუდი ცხელ-ცხელი
ნუ მოანატრე, მიუძღვენ,
ადიდონ შენი სახელი.

გურჯი.

მოხსენება

გურული ეშმაკის მოციქულისა.

ყოვლის უსაყვარლესო ეშმაკო! ვივიღე რა შენი ნდობის ფურცელი, მეტის მეტი სიხარულისგან ტაში შამოვკარ, პაწია კუდი შევათამაშე ხელათ კამარა ვქენი და გურიის მიდამოებში ფრენა დავიწყე. ამბავი ბევრი გავიგე, სამათრახოსაც ბევრს შევხვდი, პირველ ყოვლისა გავიგე, რომ.

ლ. ჩოხატოურში ნოქრებს კავშირი მიუტოვებიათ, „მამების“ კალთაში თავი ჩაუდვიათ და ცხარე ცრმელებით ეევედრებიან გააუმჯობესონ მათი მდგომარეობა. კარტითა და ღვინით ხშირათ ერთობიან, წიგნებზე და გაზეთებზე დროს არ ხარჯვენ, კავშირის აღდგენაზე ხომ ფიქრიც მეტია!..

ს. ქვედა აკეთში—რამოდენიმე პიროვნება თავს დასხმია ეკლესიას. „რევოლიუციონურათ“ გაუტეხიათ ერთი ხატი, გაუტაციათ ერთი კოვზი და კასიდან 11 კაპ. ფული. ფულისა და ნივთების წასაღებათ მიყვანილი ურმების კვალი აღმოჩნდა. „ექსპროპრიატორების“ კვალს კი რამოდენიმე გვამი გადაეფარა. საჭიროა მათრახი.

დ. ნაგომარში. ალექსი ნიკოლაშვილისა და კომპანიისთვის, რომელთაც ხალხი მოატყუეს და პარკის ფასი „მაზანდაზე“ არ მისცეს, თხოვნა ჩქარა დააკმაყოფილე. საჭიროა კუდი მათრახისა.

ს. გაგურზე. ნოე შალიკაშვილისა, იაკინთე ჭეიშვილისა და სხვათათვის, მოგვაშველეთ ანტიბახუსინი, რათა კვლავ აღარ დაითვრენ ისე, რომ გზაზე ჩხუბი ასტეხონ და ქალ და კაცს ცხვირ-პირი დაამტვრიონ.

ს. ბუკნარი. ამბობენ ეს სოფელი ,,რევოლიუციონერ-ხარ-პარისტებს“ აუღიათო. ამისთვის ხალხს 3000 მანეთს ახდევინებენ. საჭიროა თქვენი ჩამოსვლა და ენერგიული ბრძოლა.

ს. ჭანჭათში. შემდგარა „ხრაგუნ-ამჭრელისტთა“ ჯგუფი. პროგრამა მარტივია: მისვლა ღამით და ხრაგუნი იმ სახლში, სადაც მამაკაცი არ ეგულებათ, რათა ასეთი „გმირული“ მოქმედებით გული გაუხეთქონ სახლში მყოფთ; შესწავლილი აქვთ აგრეთვე აჭრა ვენახისა და სიმინდისა. ჯგუფი თითქმის ექვსი თვეა რაც მოქმედობს... წამლის გამონახვა თქვენთვის მომინდვია...

მთელი **გურიის** „ხარ-პარისტთა და მძარცველთა“ შეერთებულ კომიტეტს მოწოდება გამოუცია, რომ თითეულ წინააღმდეგობას ხალხისას ახალი აქტის მოხდენით უპასუხონ, რათა ამით შეანგრიონ მოწინააღმდეგეთა ძალა. წევრი, რომელიც არ დაემორჩილება გადაწვეტილებას, დაუყონებლივ ირიცხება „პარტიიდან“. ჯერ-ჯერობით დისციპლინა სასტიკათ იცვება, მომავლისთვის არ ვიცით რა განკურნავს მათ...

მშვიდობით დღეისწორამდე.

ეშმაკის მოციქული.

ს ი მ ღ ე რ ა.

დაკოდილ გულს გავიმრთელებ,
მიმოვფანტავ მწარე ფიქრებს,
ტკბილ ოცნებით ცაში ვიფრენ,
ხმას შევუწყობ ჩანგის სიმებს,
არ ვიტირებ მე სხვებსავით,
არ დავიწვავ ცრემლით თვალებს
ღია მკერდით დაუხვდები
მკაცრ ცხოვრების სასტიკ ძალებს.
სხივ-დიად მზეს დავიმოყვრებ,
ფარათ ვიხმარ სხივთა ისარს
და საძაგელ, შავ-ბნელ წყვდიადს
გაუგმირავ გულის ფიცარს.
წინ, წინ გავსწევ მედგარ ბრძოლით,
მთლად ავიკლებ ცას და მიწას
ჰაერს გავკვეთ, ზღვას გავაპობ
და მივაღწევ ნანატრ მიზანს.

II

ან კი მითხარ რად ვიტირო
რად ვსვა შხამი განალესი,
როდესაც რომ ბრძოლას ითხოვს
ცხოვრებისა ადათ-წესი,
როცა წინსვლის თითო ბიჯი
მსხვერპლს თხოულობს შესაწირათ
და ჰხამს კიდეც შეეწიროს
ვინც შობილა მებრძოლ გმირათ
არა, არა, არ ვიტირებ,
ცრემლს არ დაღვრის ჩემი თვალი
მან იტიროს ვინც მონაა
და უსისხლო ლაჩარ მხდალი.
მე კი, მე კი, სულ ვიბრძოლებ
მთლად ავიკლებ ცას და მიწას
ჰაერს გავკვეთ, ზღვას გავაპობ
და მივაღწევ ნანატრ მიზანს.

ნ. ჩხიკვაძე.



ზოგიერთი ტიპიური არსებანი.

კუდები.

მე აქ ლაპარაკი არ მექნება უბრალო კუდებზე, ე. ი. არც ცხენის, არც ჯორის, არც ქათმის ან ბატისაზე. არც თევზისა და არც სხვა რომელიმე ცხოველისა ან ფრინველის კუდის აღწერა მაქვს სახეში. არ ვეხები აგრეთვე არც კუდსა მათრახისასა. მე მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ სხვა, ფრიად საინტერესო კუდებზე, ისეთ კუდებზე, რომელთაც აქვთ ორი ფეხი, ორი ხელი, ორი თვალი, ერთი ზურგი*), ერთი მუცელი, ერთი კისერი, ერთი თავი, ერთი ცხვირი .. ტანთ აცვიათ ან კაბა, ან ჩოხა, ან სერთუკი, ან პიჯაკი... თავზე ხურავთ ან ყაბალახი, ან ქუდი... ერთი სიტყვით, მე მოგახსენებთ სულიერ კუდებზე, ანუ, უფრო მდაბიურათ და მოკლეთ რომ ვთქვათ, ადამიან-კუდებზე.

დიახ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავისი სახე სადღაც გაპარვიათ და სხვის კუდებათ გადაქცეულან. მართალია ასეთი ხელობა ვერაფერი სასიამოვნო ხელობაა, მარა ეს ხელობა რომ არსებობს და მას მოპოებული აქვს მოქალაქობრივი უფლება, ამას ბევრი მტკიცი არ უნდა. ჰო და, რაკი ის არსებობს, რაკი რომელიმე ადამიანი, ანუ ადამიანები მის მსგავსს ორფეხა ადამიანს კუდათ გამობმიან, ამას ყურადღების მიქცევა და ანგარიშის გაწევა ესაჭიროება; ეს კიდევ მით უმეტეს, რომ ადამიან-კუდთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა.

ყოველ კრებაზე (სულ ერთია რის შესახებაც უნდა იყოს ის კრება მოწვეული — პოლიტიკურ საკითხების განსახილველათ, ბანკის დირექტორის ასარჩევათ, თუ სხვა რამ კითხვის შესახებ) უთუოდ იხილავთ ადამიან-კუდებს და მოისმენთ მათ კუდურ მჭევრმეტყველობას. რა თქმა უნდა, იქვე იხილავთ კუდთა პატრონსაც, კუდიან ადამიანებსაც. ეს ორი სხვა და სხვა არსებანი — ადამიანი-კუდები და კუდიან-ადამიანები — მუდამ განუყრელი არიან. სადაც ერთია, იქ მეორეც არის. აი, სწორედ ასე: სადაც ხარია, იქ მისი კუდიც არის, შეიძლება რომ ადამიანი-კუდები მის პატრონთან არ იყვნენ, მარა მაშინ იგინი ჩვეულებრივი ადამიანებია, მაშინ იგინი კუდები არ არიან. იგინი კუდებათ ხდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მათი პატრონია მათთან.

აჰა, გაიხსნა კრება! დგება კუდოსანი. კუდები მონური გამომეტყველებით შესცქერიან მას და სმენათ გადაიქცევიან. პატრონის ყოველ სიტყვაზე გააკანტურებენ თავებს, ნიშნად თანხმობისა. მათი ფართედ დაღებული ხახები და პატრონისადმი მიშტერებული თვალები გამოხატავენ უზომო ბრმა მორჩილებას და მით — კუდთა არარაობას.

ათავებს დიდის რიხით კუდოსანი და აღიმართება რომელიმე კუდთაგანი. ის თავის სიტყვას ბოდიშით დაიწყებს, რომ ვერაფერს იტყვის ახალს იმ მშვენიერ და ძლიერ სიტყვის შემდეგ, რაც მისმა პატრონმა წარმოსთქვა, რომ პატრონმა სავსებით გაარკვია ძნელი საკითხი, ნათელი მოჰფინა მას, მარა ის მაინც ეცდება შეძლებისდაგვარად შეეხოს ამ კითხვას.

ასეთი მშვენიერ სიტყვის შემდეგ, მე, — ან და თუგინდ სხვამ, — რა უნდა თქვას ახალი?!. ჰქუხს კუდი, —

*) ალბათ მათრახისათვის. ეშმაკი.

ამან და ამან (ე. ი. კუდოსანმა) საფსებით გაარკვია ეს კითხვა, გენიოსურად დაასაბუთა ის...

და ასე ჩაარახუნებს ბოლომდე კუდი. აქ ხშირად მოხდება, რომ კუდის მიერ მოყვანილი მაგალითები პატრონის დასკვნას სულ არ ეთანხმებოდეს, მარა კუდი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რა დასკვნამდისაც პატრონი მივიდა.

მერე სხვა კუდები წამოდგებიან. პირველათ იგინიც მორცხულათ შეაქებენ თავის პატრონს და მერე მოჰყვებიან კუდურ სიტყვების რახარუხს.

ხშირად მოხდება კუდთა კრებაზე ასეთი სასაცილო ამბავი: ვთქვათ, კუდოსანმა დაიგვიანა კრებაზე, ან და პირველმა არ აიღო სიტყვის ნება დგება პირველათ რომელიმე კუდი და ამბობს გრძელ სიტყვას. მერე მეორე კუდი დგება და მის ამხანაგს მხარს უჭერს. მესამე კუდიც ასე იქცევა. შემდეგ დგება თვით-კუდოსანი და თავის სიტყვაში სულ სხვას ამტკიცებს, ვინემ მისი კუდები. რა უნდა ქნან ახლა კუდებმა?.. იგინი კვლავ მოითხოვენ სიტყვას და ზოგი მათგანი ჭახრაკულათ, ზოგიც პირდაპირ, უარყოფენ რა წინანდელ ნათქვამს, მიემხრობიან მათ პატრონის სიტყვას.

— მე,—იტყვის კუდი,—როცა ვამტკიცებდი ამასა და ამას, სახეში მქონდა ესა და ეს, და, რა თქმა უნდა, მე ამ მხრივ მართალი ვიყავი. მარა არის კიდევ მეორე მხარე ამ საკითხის. აი სწორეთ ამ მხარეს შეეხო ჩვენი მჭევრმეტყველი ორატორი (ასახელებს თავის პატრონს) ეს მხარე კი ყოვლად საყურადღებო მხარეა ამ კითხვის. უფრო მეტსაც ვიტყვი: ეს მხარე ამ კითხვის თავი და თავი საქმეა. პირველათ ეს კითხვა უნდა დასმულიყო და რომ ეს ასე ყოფილიყო, ჩვენ იმ დასკვნამდის მივიდოდით, რა დასკვნასაც მიაღწია ჩვენი სახელოვანი (აქ კუდი მის პატრონს ასახელებს). ამ ორატორმა მისებურათ; ლოღიკურათ, ნათლად დაამტკიცა, რომ ..

და აქ მოყვება კუდი, თუ რა დაამტკიცა მისმა პატრონმა და ბოლოს მიემხრობა პატრონის აზრს, თუმცა ის რამდენიმე წუთის წინეთ სულ სხვა რამეს ამტკიცებდა.

ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ხშირათ ნახავთ კუდებს, მარა ეს მათ სრულიადაც არ გაემტყუნებათ, ვინაიდან იგინი არიან არა ადამიანები, არამედ ადამიანკუდები.

ყველაზე უფრო სასაცილო და თან საცოდავი კუდია ქმარ-კუდი, ან ცოლ-კუდი. (მკითხველი დამეთანხმება, რომ ასეთი კუდებიც არიან).

ქუთაისის ბულვარში

ვთქვათ, საცოდავ ქმარ-კუდს გასეირნება უნდა, მარა თავის პატრონ-ცოლის ნებადაურთველად ამას ვერ ბედავს. იქვეა ამხანაგები, რომლებიც ქმარ-კუდს გასასეირნებლად იწვევენ. საწყალ ქმარ-კუდს სცხვენია მამართოს ცოლს და უთხრას: მომეცი ნება გასეირნებისათ. ის თვალებით შესთხოვს თავის პატრონ-ცოლს ნებართვას, მარა ცოლი ისე გადმოუბრიალებს გაჯავრებულ თვალებს, როგორც ქორი წიწილას და იქვე ჩანარწყავს საცოდავ ქმარ-კუდს.

— მე ჯერ საქმე მაქვს, მე ჯერ ვერ წამოვალ,—ეტყვის საცოდავი კუდი ამხანაგებს და კვლავ მიაპყრობს განუსაზღვრელ ყურ-მოჭრილობის გამომსახველ თვალებს თავის ცოლს—აი, ხომ ხედავ, თუ როგორ მივუხვდი შენი თვალების ბრიალს, ხომ კარგი მონა ვარ შენიო...

ცოლს გასეირნება სურს. უნდა თან გაიყოლიოს ქმარიც. ქმარ-კუდი კი ძლიერ დაქანცულია.

— ადექი, ჩაიცვი!—ესმის ცოლის ბრძანება...

საცოდავი ერთს კი მოინდომებს უარის თქმას, მარა რაკი მის თვალებს ცოლის თვალები მოხვდება, მყის გატყდება წელში. დგება და იწყებს ჩაცმას.

— ეგ რა ჩაგიცვამს!.. ესმის ქმარ-კუდის ყურებს ცოლ-პატრონის მქუხარე ხმა,—მეორე ტანისამოსი ჩაიცვი· ეგ რანაირი პერანგი ჩაგიცვამს!.. გახამებული პერანგი ჩაიცვი!.. ჩქარა...

ქმარ-კუდი ყოველივე ამას ხმაამოუღებლივ ასრულებს. მისდევს ცოლს და შეჰყურებს თვალებში: კიდევ რას მიბრძანებო...

ქმარ-კუდს, რა თქმა უნდა, თავისი აზრი არა აქვს,

რა აზრისაა მისი ცოლი, იმ აზრისაა ი'იც. თუ საჭიროებამ მოითხოვა, რომ ქმარ-კუდმა თავისი აზრი უნდა გამოთქვას, აი, მაშინ უნდა ნახოთ ქმარ-კუდის გაჭირვება. ის ვერ ბედავს თავისი აზრი თქვას. ხშირად ჩაასხვეღებს, რომ გაიგებინოს ცოლს: საჭირო შეიქმნა ჩემი აზრის თქმა და რადგან მე არ ვიცი თუ შენ რა აზრისა ხარ ამ კითხვის შესახებ, ამიტომ მიხსენი კაცი და თქვი შენი აზრი, რომ მერე მე იგივე გავიმეორო. კიდევ ჩაასხვეღებს და გადახედავს ცოლს. ცოლი თუ ამ დროს ვინმეს არ ეარშიყებოდა და კამათს ყურს უგდებდა—იტყვის თავის აზრს და ქმარ-კუდიც მაშინვე კვერს დაუკრავს ცოლის სიტყვას.

რაც ითქვა ქმარ-კუდზე, იგივე ითქმის ცოლ-კუდზედაც. მარა ისიც სათქმელია, რომ ცოლ-კუდი გაცილებით უფრო მეტი მონაა თავის ქმარ ბატონისა, ვინემ ქმარ-კუდი თავის ცოლისა.

ასეთი სატოდავი ხალხია კუდები. რა უშველის მათ?..

კენტი.

ოსმალეთში.

ბლუზა და მუზა.

(ვუძღვნი ნინას).

სიხარულით ფეხზე არ დგას *)
საცოდავი ჩემი მუზა,
რაკი ნახა ნინასაგან
მოქარგული ჭრელი ბლუზა.
წამსვე ლექსი შემიკვეთა
თან საკინძზედ მაცქერდება
გულში ფიქრობს დასტურ განა
ვასო კიდევ დაბერდება?!
მივიხედავ უცებ მისკენ
მსწრაფლ სიცილი ამიტყდება
და მეც ვფიქრობ რომ ეს ტილო
არა დროს არ გამიცვდება.
დიახ მართლა მე ჩავიცვი
ბლუზა გრძელი განიერი
და ვეჭვობ, რომ კიდევ იყოს
ჩემისთანა ბედნიერი.

* *
*

ნაქარგია ჩემი ბლუზა
არ ეტყობა ნემსის წვერი
და მეც მტკიცეთ გაბედულათ
ასე ვ●იქრობ ასე ვმღერი:

ბედნიერ ხარ ჩემო მუზა
რომ გეღირსა სიხარული
და ერთხელ შენც მადლიერსა
აგიჩუყდა ტკბილ:თ სული,
მაგრამ გატყობ ეხლა გშია
ვეღარ გატკბობს მონაქარგი,
ალბათ ახლა გაგახსენდა
საიდუმლო დანაკარგი.
ჩუმათ მუზა წუთის ჯილდომ
სიხარულმა დაიძინოს,
არა გვნახოს მეგობარმა
არ გაგვკიცხოს გაიცინოს.
ხედავ შენა ამ ჭრელ ბლუზას
თეთრ-შავ-წითლათ მოკირწლულსა
მტკიცე ხელით ნაქარგია
გამოხატავს გულის წყლულსა
თეთრი მიწა შავი კუბო
. . . .
და ეს სამი საიდუმლო
სასიცოცხლოთ მოგვიწოდებს
არ დაღონდე ჩემო მუზა
მწარე ხვედრმა არ შეგაკრთოს
კუბომ მიწამ და სიცოცხლემ
შავ ბედის ქვეშ ჩვენ შეგვაწრთოს

* *
*

აი როგორ გაიხარებს
და საკინძზე მიჰვრეტს მუზა,
გაუხარდა ნინასაგან
მოქარგული ჭრელი ბულზა.

ვ. ტუქსიშვილი.

*) მუზა ფეხზე დადიოდეს
არ მსმენია არასოდეს. ეშმაკი.



ორი ეშმაკი.

ორი სიმღერა.

პირველი. სულთანმა სთქვა: ,,ალლახ ბილურ!!
ამას რა დღეს მოვესწარი,
აღარც ხალხი თაყვანსა მცემს,
არც აღარათ მაგდებს ჯარი.
აჯანყება რომ დაიწყო,
მყის გამიდგა შიშის ქარი,
კონსტიტუცია წამართვეს
ვსთქვი, ,,ჩემია ნაბოძარი''
გულში ფრიად დამწუხრებულს
სახე მქონდა მიმღიმარი,
გაზეთები გამოფრინდენ
როგორც პეპელების ჯარი,
ყველა მზეზე გამოფინეს
იდუმალ ნამოქმედარი,
და გამაწნეს სტატიები
უჩვეულო, კილო ცხარი.
მრავალ წლობით ჩაჟანგული
მსწრაფლ გაიღო ციხის კარი,
ახალგაზრდა ჩანამწყვდევნი
გამოვიდენ თმა-ჭაღარი,
პოლიცია გამიქციეს
ჯაშუშები აღარ არი,
ჩემს დაკეტილ სახელმწიფოს
გაუკეთეს ყველგან კარი,
ისევ შიგნით შემორეკეს,
ვინც დასტოვა ჩვენი მხარი,
ვინც კი გუშინ ტახტისათვის
იყო მეტად საშიშარი.
აღარა მყავს: არც ვეზირი,
არც მდივანი საქებარი,
აღარც სანდო კარის-კაცი
არც მრჩეველი, არც მოძღვარი.
ახალგაზრდა ოსმალებმა
საქმე მიქნეს მეტად მწარი,
მთელი თანხა მოითხოვეს
ჩემი ,,ოფლით მონაგარი''.
არ კი ვიცი რას მერჩიან,
რა მაქვს მათი მონაბარი,
რა გზა იყო, ვითომ გავხდი
მეც იმათი მეგობარი,
და ერთ-ერთი კომიტეტის
მსწრაფლ შევიქენ თავმჯდომარი.
ამას ყველას გავუძლებდი,
თუნდ გამიშრეს ცრემლთა ღვარი,
მაგრამ ვაი, რომ გარემიც
მომიშალეს, აღარ არი...
ოთხას ცოლში ერთი შემრჩეს
ვერ გავუძლებ გულ-დამწვარი,
ერთი ცოლის ანაბარა
გინდ ცოცხალი, გინდა მკვდარი!
ღმერთო, როდის მოისპობა
ეს ამბავი საზიზღარი,
რეაქცია გაიღვიძებს
და თაყვანს მცემს ჩემი ჯარი...

მეორე. სულთანს შახმა გამოსძახა:
„ძმაო აბდულ გამიდაო,
ჩემი საქმეც ,,ალლახ ბილურ''
ჭანდრაკულათ წავიდაო.
კონსტიტუცია ჩავყლაპე
ტკბილი იყო მეგონაო,
მეგობრების რჩევა იყო
მეც მიტომ მომეწონაო.
მუცელი წამომისივდა
გამებერა კუჭიაო,
ყოველგვარი საშვალება
ნაჭლად ვხედავ ფუჭიაო.
ყაჩაღების ბრჭყალებია
ჩემი ციხე-გალიაო,
მაგრამ ყველა, რაც შემემოხვა
ისევ ჩემი ბრალიაო.
აბა მითხარ ასეთ ლუკმას
როგორ გადავყლაპავდიო,
თუ არ უცხო მეგობრები
არც ერთს აღარ დავკლავდიო,
რაღაც ჩემდა სახიფათოდ

მომევლინა შაპშალაო,
და იმდენი მიჩხიკინა
ლამის ქკვიდან შამშალაო.
ახლა ვზივარ ტუსაღივით
შენ რა გიჭირს ძამიაო,
ან გარემი რაღათ გინდა
ხანი მოგიჭამიაო.
შენ ჩემი თქვი, მეგობარო
ჩემი ყოფა-ცხოვრებაო,
ადირბეჯანელი ხანის
ბრძოლა, შეუპოვრებაო.
კაცი არ მყავს მადლიერი
არც შიგნით, არც გარეთაო
ვზივარ ჩემთვის დამწყვდეული,
მუდამ გულ-მწუხარეთაო.
ფული არ მაქვს გროში ცალი,
არც სამხედრო მასალაო,
ლამის არი სათარ-ხანმა
ტახტი გამომაცალაო.
ღმერთმა მტერსაც აშოროს
რაც მე ჭირი მადგიაო,
მთელი ჩემი სახელმწიფო
დანგრევის გზას ადგიაო,
თუ მეშველა ძიავ რამე
ისევ ევროპიდანაო,
თორემ ჩემი აღსასრული
დღეს წინაშე მიდგანაო.
შენ რა გიჭირს ფადი-შახო
ჩემო აბდულ-გამიდაო,
შენ ჩემი თქვი ბედის-წერა
რა უკუღმა წავიდაო.



* *
*

წყვდიადი გადაჰფარვია
მაშვრალთ და გვემულთ არესა
სამარებრივი დუმილი
ჰფლობს ირგვლივ, ყოველ მხარესა.
ნიავი, მხოლოდ ნიავი
მოსთქვამს შავს ამბავს მსარესა
ქვეყნის დარბევას, გასაჭირს
ამცნობს შორს, არე მარესა
ყურს ვუგდებ მდუმარებითა
მის სისინს გულ-მწუხარესა
თუ მტარვალებმა ჩაგრულნი
რა რიგად გაამწარესა.
ან ხალხის გმირნი დევნილნი
რომელ ლოდს მიაბარესა,
ან თუ ხევ-ხუვში ან ტყეში
თავს დასხმით მიამკვდარესა.
ირგვლივ კვლავ ბნელა, ქარი ჰკვნესს
კაეშნით მოცულ მხარესა:
მე ვდარაჯობ—სისინებს
ხალხის ძეთ შავ-სამარესა.

გ. ქუჩიშვილი.

ქ ო რ ს.

ჰაი არია, არია,
ძერამ წაიღო ვარია,
უშველეთ გააგდებინეთ,
ცოცხალია თუ მკვდარია.
(ხალხური).

ჰაი, ჰაი, ქორ-ტიალავ,
ნუ წამართმევ წიწილასა!
თორემ ჯოხსა წამოგისომ
და გაგიქრობ სინსილასა!
უბრალოა რასაც ფიქრობ,
ვიცი, შენი გულის ძგერა,
ქოჩორას, რომ დასტრიალებ,
ვერ გაგატან ვერა, ვერა!
რაც წინაწინ წაიტაცე,
ისეც შხამათ შეგერგება,
მოეცალე ჩემს მიდამოს,
თორე თვალი დაგიდგება!
მაღლიდანა სიამაყით
ქოჩორას, რო დასტრიალებ,
მეც ნიშანში ამოგიღებ,
დაბლა გადმოგატრიალებ!

ივ. ზედაძნელი.

—

გამოცანა.

(ლანჩხუთისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ
მიგუებულს, მომოკლოსა,
სახელსაც კი შიგ ჩავაქსოვ,
ლანჩხუთელი მდივან-ქოსა
ალმა დალმა დატენტერობს
თავი უგავს მუხის რკოსა,
დურმიშხანობს და ხუნხუზობს
ხან შავ-რაზმში თავს ჩაჰყოფსა
ზუბრის ოჯახს აპეკუნობს
და იმითაც ამაყობსა.
ღირსია თუ ზურგსა მისსა
მწვავე ცუდი შეამკობსა.

შხანკოლა,

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედიიდან, კულაშიდ ნ, ჭიათურიდან, ეწერიდან მუხიანიდან, ოფშქვითიდან, ბორჯომიდან, ტობანიერიდან, ხაშმიდან, დ. აბაშიდან.

ჭიათურა. შავი ქვის მწონელებმა, ხარიტონ მიხაილიდის თავმჯდომარეობით, დაადგინეს: რომ გაძვალ-ტყავებული ჩალვადრების ინტერესები აღარ დაიჩაგროს, ამიერიდან ცხენის საპალნეს გაუკეთდეს 5 ფუთი სკიდკა, ხოლო ურმისას 15 ფუთი. ეს გამოიწვია ბ-ნ მწონელთა პროგრესის ფერხულში ჩადგომის სურვილმა. ჩინებულია.

შავი ქვის მრეწველთა საბჭომ თავისი ხირურგი კარტაშოვი ქობულეთში გადაიყვანა, ხოლო აქაურ ავათმყოფთათვის გამოიწერა ცნობილი დოსტაქარი იოსება დალაქი.

ისარავარ.

—

სოფ. ეწერი. ჩვენმა „ილიობამ“, წელს ჩინებულათ ჩაიარა. მიზეზი სვირის ღვინოს სიიაფე გახლდა. გარდა ღვინისა ხალხს აღარაფერი ჰკლებია, რადგან შარშან ისეთი დიდი მოსავალი იყო, რომ წელს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ლამის შიმშილით გაწყდეს. დღესასწაულს ხელი შეუწყვეს აგრეთვე ჩვენმა „მოწინავე“ სტუმრებმა, რომელნიც უხვად მოაწყდენ სოფელს სხვა და სხვა კუთხეები დან. დღესასწაული ჩინებულათ გათავდებოდა, რომ ერთი მოულოდნელი ამბავი არ დატრიალებულიყო. ზაფხულის სიცხისაგან შეწუხებულმა ხალხმა ასტეხა შუაღამეზე ზარის რეკა.

მოვიდა ჯარი-და ჯამათი
მყისვე გაჩაღდა ბჭობა კამათი.
აქ იყო თავად-აზნაურობა
და იმათ ერგოთ მესვეურობა.

ეს რამდენი ხანია წვიმა არ გვღირსებიაო, ბჭობდა კრება. ეს სულ იმის ბრალია, რომ დავივიწყეთ ჩვენი ძვირფასი ილია და მანაც აგვაღო ხელიო. დაუწყეს ხვევნა და მუდარა ერთი გაეწვიმებია, მაგრამ ხალხის ცოდვა იმდენი აღმოჩნდა, რომ არ უსმინა წინასწარმეტყველმა. შემდეგ ამისა გადასწყვიტეს ხატის რიონზე წაღება და განბანა, მაგრამ ამ დროს მოუსწრო მათ პოლიციამ და გაფანტა.

ი.

—

სოფ. კულაში. მთელი სოფელი უღრმეს მადლობას უძღვნის ბ-ნთ დათიკო მესხს და მასწავლებელ სანგინაძეს, რომლებმაც აგერ ერთი თვეა, რაც ბილეთები დაყიდეს, ქანქარი აიღეს და წარმოდგენა კი არსად სჩანს. მადლობა იმით აიხსნება, რომ პროვინციალურ „წარმომადგენელთაგან“ უკვე მრავალჯერ განაწამები ხალხი ახლა მარტო ბილეთის ყიდვით გადარჩა და უბრალოთ დრო აღარ დაკარგა; მოგეხსენებათ ანდაზა: „დრო—ფულია“-ო.

ი.

—

იქიდანვე. სამკითხველოს მოსამსახურეს სამოცი გრადუსი სიცხე მისცა, როცა ტორგის ამბავი წაიკითხა. შეუდგა წიგნების მოგროვებას მაგრამ სხვა და სხვა „აგარაკებში“ ყოფილან გახიზნული და შინ არ ბრუნდებიან.

ს.

—

დაბა სამტრედია. რამდენი ხანია, ძმაო ეშმაკო ჩვენი დაბა წყალს ელის, მაგრამ არ იქნა, ვერ ეღირსა. როგორც ამბობენ წყლის გამომყვანთაგან ზოგიერთი პირები ისე გაჭუჭყიანდენ, რომ მათ გასარეცხათაც აღარ კმარობს გამოსაყვანი წყალი. თავისი თავის გასუფთავებაც კარგი საქმეა, მაგრამ განა დაბაში ცოტაა გასარეცხი?

თ.

—

ჭიათურა. ძმაო ეშმაკო,

„სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს
ჩვენ გაღვიძება?“

სძინავს ძმაო ჩემო მთელ დაბას, სძინავთ საერთოთ ნოქრებს, სძინავს ჩვენს სამკითხველოს, სადაც „ზაკვკაზიელ“ ზუბრთა ბღდვინვის მეტი არაფერი ისმის; დიახ, საყოველთაო ძილი იქნებოდა ვაჭრები რომ არ ფხიზლობდენ. ახალი არაფერი გამოუწყიათ, გარდა ეკლესიის აშენებისა, რისთვისაც

იარმუკაზე შემოსულ საქონლის დაბაჟვასაც აპირობენ, მაგრამ ძველი ნისიების ანგარიშიც ხომ საქმეა.

მაშ გელით, იქნებ მათრახის კუდმა მაინც გამოგვაღვიძოს.

ქო-პატონი.

—

ბორჯომიდან. ძვირფასო ძმაო ეშმაკო,
ისევ და ისევ შენაო,
ბორჯომში კიდევ ბევრს უნდა
მათრახის წამოშენაო.
პირველათ გაიმასქენ, —
ნახე ქარხანა შუშისო,
(აქ ძრიელ გაგიჭირდება
პოვნა შეგნებულ მუშისო).
მე ამათ საქმეს რომ ვხედავ ..
რა გითხრა... თქმა მეძნელება...
ამ ბოლოს სენათ გადექცათ
გონების გამობნელება.
ჟურნალ-გაზეთი ამათთვის
რაღაც უცნობი ხილია,
ამბობენ: ,,გაზეთის კითხვას
ის დასდევს, ვინც მოცლილია!
ჩვენ კი დრო აბა სად გვაქსო?
მუდამ ესა აქვთ სათქმელათ,
დუქნიდან კი არ ჩქარიან
როცა შიგ შევლენ სასმელათ.
სადა ხარ ძმაო ეშმაკო,
არ უსმენ იმათ ქაქანსა,
მათრახის წვერით არ დასთხოვ
,,ბახუსს'' რო სცემენ თაყვანსა.
ხერხისა ქარხნის მუშებზე
ცუდის თქმა არ შეიძლება,
მადლობა ,,ალლახს'', ეტყობათ
თან და თან გამოფხიზლება.
მჟავე წყლის მუშებიც ნახე,
გაიგე საქმე ამათი
მოსულ იმერელ მუშებთან
რათ აქვთ შუღლი და კამათი?!.
და თუ შეატყო, აკლიათ
მათ კლასობრივი შეგნება,
თუ კინკლაობას ეროვნულს
მათში ადგილი ექნება,
თუ რომ ამ შინაურ ბრძოლით
მტრებს ახარებენ გარეთა,
მაშინ ეგ შენი მათრახი
გასცხე და გასცხე მწარეთა.
დეპოს მუშებსაც თუ ნახავ,
აამებ შენი სტუმრობით,
და ისე... შინაურულათ
მათრახს გაუქნევ ხუმრობით.
ალბათ ღირსეულს გაიკვრის
და ეს ჩვენ ნუ დაგვბრალდება
(ვინაც არა სჭამს ნიორსა,
არც პირი აუმყრალდება).
ზოგ მათგანს გრო'ში, კაპიკი
საქმისთვის არ ემეტება,
ტყვილათ კი ფლანგავს, თან უყვარს
,,ველოსიპედით'' ხეტება.

დონ-რობერტო.

—

ს. ტობანიერი. ნეტავ ეშმაკი ჩვენს ლიპიანებს
მათრახს რისათვის დაუგვიანებს?
არა მგონია, რომ მათრახისი
ამათზე უფრო სხვა იყოს ღირსი.

მართლაცა და აგერ ერთი წელიწადია, მოაძულეს თავი თხოვნებით ვისაც ჯერ არს: რათ უნდა ტობანიერს აფთიაქი, უწამლოთაც კარგათ გასძლებენო; ან რათ უნდათ იარმუკა, იმათ ქონებას უამისოდაც მიუვლითო. ერთი სიტყვით იმ ზომამდე არიან მისული ამ მოღვაწეობაში, რომ არა მგონია 50 კუდი მათრახისა საკმაო დარჩეს.

ყორანისებური.

—

ხაშმი. მინდა გაგაცნო ეშმაკო
იაგორ ხაშმის გმირია,
თოფ-იარაღში ჩამჯდარი
პატივცემული პირია.
მარტო არ არის იცოდე,
დაი უმშვენებს მხარებსა
და ორნივ ქორიკანობით
არავის გაახარებსა.
,,იმედისტებში'' ამ ჟამად
არავინ უჩანთ ცალათა,
თუმცა თავს მოხერხებულათ
იკატუნებენ ძალათა.
ერთი გაჰკარი ძმობილო
მათრახი შენი მწვავია,
რომ ბოქაული კი არა,
აღარ ახსოვდეთ თავია.

ბალჩის ხახვი.

—

მუხიანი. ეშმაკო უნდა გვათხოვო
რაღაც მათრახი გვქონია
სხვებს თუ კი უხვად სთავაზობ
არც ჩვენ დაგვიჭერ მგონია.
სამართლიანათ მოქნევას
მე ვიდებ თავის თავზედა
და თუ სიმრუდით ვიხმარო
ხელი შემახმეს მკლავზედა.
განა ცოტაა ცუდ-კაცა,
რომ მართალს არა ხვდებოდეს?
აი თუნდ წვრილი ვაჭრები
სხვაში რათ გამოდგებოდეს?
წონაში „იმაშობიან“
საცოდავ სოფლელ გლეხებსა
და ვნახოთ მათრახის კუდზე
როგორ შეაწყობს ფეხებსა.
ოფშქვითში როცა ჩავივლი
წინ დამიხვდება მათია,
მგელს უფრო მიებარება
საქონლის ამანათია.
ამასაც უნდა ეგემოს
როგორც რიგი და წესია,

მაგრამ რაც მეტი მოხვდება
მით უფრო უკეთესია.
სიმონსაც უნდა შევეხო,
ის იყო ძველი „სტარშინა“
და მისმა მოკლე მათრახმა
ბევრი დააფრთხო მაშინა.
მღვდელი რაჟდენი მათ შორის
კანონიერი წევრია
და არც მას ავნებს თუ მოხვდეს
ცოტა მათრახის წვერია.
ვასილა საყვარელიძეს
და დიტო მესხის ამქრული,
მარტო იმითი იცნობა,
რომ ვერ გაიძღეს მათ გული.
გლეხებს საქონელს უჭერენ
ბანკისა კია მამული!
სულზე მანეთი საბაჟო,
აბაზი მხოლოდ ბაწრული.
რაღა თქმა უნდა არც ამათ
დავტოვებ გულ-ნაკლულათა
და რაც კი ღვაწლი მიუძღვით
დღეს გაუნაღდებ სრულათა.

დაჩაგრული.

—

თბილისიდან. ავჭალის „ქუჩისა“, თეატრში,
შევფრინდი გახურებული;
ჯოჯოხეთური სიცხისგან,
შევიქენ შეწუხებული!
მთლათ ოფლათ იწურებოდა
ხალხი სულ შეგუბებული,
ზოგი „არტისტიც“ უაზროთ
ყვიროდა გაგიჟებული!...
მათრახი თანა მქონოდა,
ზურგის ტყავს გავუხურებდი,
თან დარიგებას მივცემდი,
მათ სმენას ვიმსახურებდი,
ვფიქრობდი: რასა შვრებიან?!
მათ თამაშს, რომ ვუყურებდი,
ეშმაკო! იქა მყოლოდი,
მათრახს არ დაუშურებდი!...

შმაგა.

—

დ. აბაშა. ძმაო ეშეაკო! სანამ ერთობის ხანა დადგებოდა აქ, აბაშაში, არსებობდა კერძო საქალებო სკოლა, რომლის სასარგებლოთ ბაზარმა იყიდა სხვა და სხვა საპირონივთები: მოწაფის სტოლები, სკამები, დაფა, შკაფი, წიგნები და სხვა. ეს სკოლა დაიხურა, ნივთები კი, როგორც გავიგე, გამგეს მიუბარებია ბიჭია ლუხავასათვის, შემდეგ მღვდელ ბესა კაპარავასათვის. დღეს ეს ნივთები აღარ სჩანს, მგონი შეიმასქნებული უნდა იყოს ბაზრის დაუკითხავად.

— აწ უკვე განსვენებულ ბიბლიოთეკისათვის მას-ჟამსა შინა შეგროვილიყო 60 ქანქარი და მიბარებულ ჰქონდა „ვიღაცას“. მოაგონე ამ „ვიღაცას“ თუ რა უქნა ამ ფულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში „ჩვეულებრივ“ ზომებს მივმართავთ.

— ღმერთმა ისეთი ექიმი მოგვივლინა, რომ ლამის ყველა ცოცხლებს ტყავი გაგვაიმასქნას. 10—15—25 ქანქარი ვნაზე აკერია, ნაკლებ ფეხს არსად გადადგამს, ეხლახან მოუხშირა 25 ქანქარის გადახდევინება, განსაკუთრებით ვაჭრებსა და ქალაქის გარეთ მცხოვრებ პირებზე. ამ წინაზე ერთმა ვაჭარმა 15 მან. გაუგზავნა ვიზიტის ფულათ და თან წერილობით თხოვდა მეტი არა მაქვს და ამაზე დამჯერდიო. ბ. ესკულაპმა ფული უკან დაუბრუნა და წერილზე კი შემდეგი რეზოლიუცია მოახდინა: „Благоволите выслать мнѣ 20 руб., а супругѣ моей (უკანასკნელი ბებია) 5 руб.“ ო.

— აბაშის ფოსტალიონი ბიმინოშვილი... მაგრამ რაღა თავი შეგაწყინო მიმინოშვილის ამბებით, განა ქვეყანამ არ იცის რაებს ჩადის ეს ყმაწვილი.

ახლა ყურად იღე ძმაო ეშმაკო ვედრება ჩვენი და აუცარი ამ ვაჟბატონებს შესაფერი ორგანოები.

ფოთელი.

ვუძღვნი დათიკო ძ—ს ხსოვნას.

ტანჯული ხალხის მამაცო შვილო,
დიდებულ საქმეს შესწირე თავი.
და მით ჩვენს გულში შენი სახელი
დასტოვე, ძმაო, მარად უკვდავი.
გიყვარდა ხალხი, მას მსახურებდი—
მის სამსახურშიც დალიე სული
თამამათ მიდი იმ ბოძთან, სადაც
უკანასკნელად იყავ მიკრული.
იქაც გახსოვდა შენი მოძმენი,
მათ ამხნევებდი გმირული ქცევით
მოძმეთ რომ აღარ გამოგასალმეს,
იხსენიებდი მტარვალებს წყევით.
ჩვენ კარგათ ვნახეთ, რომ შენით მიდი
დიდ სამსხვერპლოზე, როგორც რომ კრავი
და ,,გამხნევდითო'' ჩვენ შემოგვძახე
სიტყვა ნუგეშის და გულსაკლავი.
გვერწმუნე ძმაო, შენს წმინდა სახელს,
მუდამ ატარებს ტანჯული ერი
და შენს საფლავზე სიმღერით მოვლენ,
როს დამარცხდება ხალხისა მტერი.

ვასიკო ციმბირელი.



წერილები რედაქციის მიმართ.

თქვენს ვატარებულ გაზეთში, № 38 მოთავსებულია ასკანის მოღვაწეებს შესახებ წერილი, რომელიც არს მოყვანილი უმსგავსო სიცრუით. ამის გამო ჩვენ პასუხს ვთხოვთ იმის შემთხზველ „მწერალს“. მოვითხოვთ დაგვიმტკიცოს ჩვენი არტისტული შემადგენლობა და ამასთან ჩვენი მატყუარობა, თქვენივე გაზეთის საშუალებით. წინააღადეგ შემთხვევაში ის თერმეტი წვეთი კუდინი თითონ მიიღოს და კაი მათრახიც მიიყოლოს.

სევასტი მთისპირელი;

—

თქვენი გაზეთის № 39 გედევან ჟუმპურიძე მიწვევს სამედ. სამართალში. სიამოვნებით ვეთანხმები. მედიატორებად ვასახელებ: გიორგი ნუცუბიძეს, ბიქტორ მელიქოვს და პავლე ქაცარავას. განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს.

ქო—პატონი.

—

თქვენი გაზეთის № 41. მოთავსებულია ლექსი ს. შუხუთიდან, რომლის ავტორიც ცილსა მწამებს. ამიტომ ვიწვევ ბ ნ „ჰინჰარს“ სამედ. სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ: ალექსანდრე მხეიძეს და მიხაკო იმნაძეს.

თედორე ბასილის-ძე ასკურავა.

—

ვიწვევ-რა ბ-ნ ბრატიშკას სამედიატორო სამართალში ჩემზე ცილის-წამებისათვის (?) ვნიშნავ მედიატორებათ ბიბი-ეიბათელ მუშებს გიორგი გიორგობიანს და ევ. ჯღენტს.

პლატონ წირღვავა.

—

„ეშმაკის მათრახის“ № 40 დაბეჭდილია წერილი ბათუმიდან „არა მკითხე რევიზორისა“, რომელიც სიმართლეს მოკლებულია. ამიტომ, ჩვენ ჩის მიერ შეურაცხყოფილი ასოთ-ამწყობნი ვიწვევთ „არა მკითხე რევიზორს“ საამხანაგო სამართალში, რომ დაგვიმტკიცოს მის მიერ წამოყენებული საბრალმდებლო მუხლები. ამათ შეძლება მოგვეცემა ჭეშმარიტება გამოვარკვიოთ.

ამ. მონდობილობით კოლია.

—

„ეშ. მათრახის“ № 34 მოთავსეეულ წერილის გამო გრიბოლი და ლევანტი მიროტაძეებმა და გიორგი კერესელიძემ გამოიწვიეს სამედიატორო სამართალში თქვენი კორესპონდენტი „აქ. ვარ.“, რომელიც ბრალათ სდებდა ზემო აღნიშნულ პირებს ბლოკის შეკვრის და ქრთამით ახალი მუშების მიღებას.

სამედიატორო სასამართლომ განიხილა ეს საქმე და დაადგინა: რადგანაც ბრალდებულნი მართალნი არიან აღნიშნული ციღისწამებისაგან, ბ-ნმა კორესპონდენტმა („აქ. ვარ“-მა) გაზეთის საშვალებით ბოდიში მოიხადოს გ. და ლ. მიროტაძებისა და გ. კერესელიძის წინაშე.

თავმჯდომარე სტ. ბ. ტყემალაძე.

მედიატორები: ი. გიორგოიანი
ი. გონენაშვილი. *)

—

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია არავითარ მსჯავრს არა სდებს ჯერ-ჯერობით კორესპონდენტის მოქმედებას, ვინაიდან რეზოლიუციას მხოლოდ ორი მედიატორე აწერს ხელს. ჩვენ ველით ხასუხს დანარჩენ ორ მედიატორეთაგან.

თქვენ გაზეთის № 36. მოთავსებული წერილისა გამო ვიწვევ სამედიატორო სამართალში ბ-ნ ვოლდემარს. ვთხოვ, დღიდან გამოცხადებისა ერთი კვირის ვადაში დაასახელოს მედიატორეები **). განაჩენი უნდა დაიბეჭდოს „ეშმ. მათრახში“ და ერთ-ერთ ყოველდღიურ ქართულ გაზეთში.

ბეგლარ მამალაძე.

—

„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

ბახვი. თიხნარელს. თქვე დალოცვილო, სხვა სოფელში ათობითა და ასობით ითვლება მეჭორე დედა-კაცი და თქვენ ფამფალეთში თუ სამის მეტი არა გყავთ, ღმერთს მადლობა შესწირეთ. არ დაიბეჭდება.

ს. ჯალა. (გურია) ღამურას. ოჯახურ-შინაურ საქმეებში ჩარევა გაზეთს არ შეეფერებაო ამბობენ, თორემ რამდენი ექიმი და ისე კაცია თავიანთ ცოლებს რო უმოწყალოთ სცემენ. არ დაიბეჭდება.

ელისავეტპოლი. მოგზაურს. ოჯახური საქმეა, არ დაიბეჭდება.

კაჭკაჭს. თქვანი ლექსი არ დაიბეჭდება.

ბაქო. კენჭს. ძლიერ გრძელია და შეუსაბამო. არ დაიბეჭდება.

ვანო გაზეთელს. თქვენი „ნანა“ არ დაიბეჭდება.

ჩოხატაური. ბერ—რიშვილს. თქვენი ლექსი „რა მაღონებს“. არ დაიბეჭდება.

ს. ხუნჯულოური. ესეს. ვინაიდან ჩვენს გაზეთს ჯერ-ჯერობით არა აქვს სასამართლოს განყოფილება, ამიტომ არც თქვენი წერილი იბეჭდება. წულაიას წისქვილის საქმე კიდევ კარგად გათავებულა, თორემ მიდგოი მოდგომით მარტო მიქელაძეებს არ გააქვთ საქმე.

სოხუმი ვასიკო ციმბირელს. თქვენს მეორე წერილს დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდით, რომ ეს მოსახერხებელი ყოფილიყო.

კახეთი. ვალიკოს. თქვენი ლექსი „მუშას“ არ დაიბეჭდება.

ასკანა. სევასტი მთის პირელს. რედაქცია არ დაზოგავს არავითარ შრომას თუ კი მოახერხა და თქვენი გამოგზავნილი ლექსების გასწორება შესძლო. ხოლო რაიცა შეეხება „განმარტოებულ მეგობრის“ გასწორებას, ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. მოგვყავს მხოლოდ პირველი კუპლეტი, რაიცა საკმაოდ დაასაბუთებს ჩვენს გადაწყვეტილებას.

„განმარტოებულხარ?! სიცოცხლის წყვდიადში.
ცხოვრების ისტორიამ ეს გარგუნა თანა.
სიმწარე... და გული ჩაასვენე, დარდში,
ადამიანობისაკენ მსვლელობამ ეს მოგიტანა“.

ფ ლთი. კ—ი. ახირებულია თქვენმა მზემ! იწერებით ა'ე და ისეო, ხოლო რისთვის, რატომ, ამაზე ერთი სიტყვაც არ არის. საქმის გარემოება რედაქციამ ვრცლათ უნდა იცოდეს, ხოლო დასაბეჭდი კი მოკლე იყოს. არ დაიბეჭდება.

ზოკრაპანი. სერგეი კოვზირიძეს. თქვენი წერილი არ აღმოჩნდა რედაქციაში და დაუბეჭდაობის მიზეზიც ეს არის.

ნოვოროსია. გ. მ. თქვენი წერილი რედაქციაში არ აღმოჩნდა.

ერევანი. მაღლაკელს. სულ იმას გვისაყვედურებენ შინაურ საქმეში ნუ ჩაერევითო, თორემ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს წერილს ტალანოვისა და ლოსაბერიძის შესახებ.

—

**) გვიკვირს ღმერთმანი, თქვენ რატომ აღარ დაასახელეთ თქვენი მედიატორეები თუ საქმის დროზანათ გათავება გსურდათ.

რედ.



შვაგულ აფრიკის
ცხელ უდაბნოში,
სად მაიმუნთა სუფევს სამყარო,
პურიშკევიჩი
მოვლინებულა,
მესამე დუმის „სკანდალთა“ წყარო.
სურს შეისწავლოს
წეს-წყობილება
და მართვის წესთა მაგალითები,
რომ სამშობლოში
გადმოათესლოს
ეს საუცხოვო მარგალიტები.
წინ შეეგება
დიდებულ სტუმარს
ორანგთა მთელი დეპუტაცია
იქაც სცოდნიათ
პურიშკევიჩი
რაც მოღვაწეა და რაც კაცია!

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლალიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმეოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—9)

საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს და აგენტებს დროებით შემდეგ ადრესზე გამოგზავნონ ჟურნალის ფული: ან ვისაც ძველ ადრესით აქვს გამოგზავნილი შესცვალონ აგრე: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Мелитону Нодія.

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

ჟ ურ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან.	ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.
ნახევარი წლით . . 2 „	ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაძოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოლეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზკანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

განცხადებანი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს, ასრულებს სწრაფად და ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

რედაქტორ გამომცემელი თ. ე. ბოლქვაძე

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ თფილისი.